კვირა, დეკემბრის 1

1918 წელი.

№ 12.

ფასი 70 კაპ.

ყოველ-კვირეული

გაზეთი „კლდე“

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის

მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით

გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 5 მანეთი, ცალკე ნომერი 70 კაპ.

განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.

კონტორაში (ქართულ ქარვასლაში, სახახლის ქუჩა № 5).

რედაქტორის ტელეფონი № 22.

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი.

მეთაური. ომი და ზავი.
რ. გაბაშვილი. სამღვთო სჯული პარლამენტში.
შ. ქარუმიძე. საქართველოს გამთელებისათვის.
საკვირაო მიმოხილვა. დავითხანიანის ცნობის მოყვარეობა.
ლ. კ. მორიგი შემოტევისათვის.
ქართული პრესა უცხოელთა მოქმედებაზე საქართველოში.
ფელეტონი. სოციალისტური რესპუბლიკა. გერმანიის რაიხ'ტაგის წევრის რიხტერის კრიტიკა,
რაფ. „სარწმუნოება“.
მ. იზხნელი. რევიზიცია თუ პროტექცია.
ლ. მაჭავარიანი. თეთრი გიორგი (ლექსი)
საქართველოსა და აფხაზეთის ხელშეკრულებანი
კორესპოდენცია. ესპანიური ავადმყოფობა სოფლად.
პარტიული ცხოვრება. თფილისის ორგანიზაცია, ყვირილის სამაზრო კომიტეტის დეპეშა, და ქუთაისის ორგანიზაცია.

## უკანასკნელი ცნობები

კრასნოვის ბრძანებით რასტოვის და ნოვოჩერკასკის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში დაკიდეს ტრაურით მოსილი ნიკოლოზ რომანოვის სურათი.

გერმანიის დელეგაცია საქართველოში დარჩება, ათიოდე ოფიცრებით და სამაზრო რაზმით.

კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი და კლარა ცეტკინი მუშებს საკაცობრიო რევოლიუციისათვის მოუხმობს.

ამურზე ციმბირის მთავრობამ თავისი თავი გადამდგარათ გამოაცხადა.

ბერლინის ქუჩებზე შეტაკებაა.

სომხების ელჩი ჯამალიანი ბათუმს გაემგზავრა ინგლისელების შესახვედრად.

გუშინ საღამოს ინგლისის მისია, გენერალ-მაიორი მაკდონალდის მეთაურობით, ბაქოში გაემგზავრა.

თფილისი 1 დეკემბერი

# ომი და ზავი

ყველა იმას, ვისაც სუსტი გონება, სუსტი სული და ხორცი, სუსტი ჯანი აქვს—სჯერა, რომ ომი გათავდა ეხლაც და სამუდამოთაც მოისპო. მაგრამ ყველა იმან, ვისაც გონების სისაღესთან ჯანის სიმრთელეც ახლავს-კარგად იცის და ალღოთიც გრძნობს, რომ დროებითი ზავი და თვით ხანგრძლივი მშვიდობიანობაც—ფარდა ჩამოშვებული ანტრაქტია საომარ მოქმედების სამზადისში.

ომი რომ დაიწყო, ყველა სუსტი და დავრდომილი იძახდა: ომი ორ თვესაც ვერ გასტანსო, რადგან ევროპა ვერ გაუძლებს ამოდენა სისხლის ღვრასა და ხარჯსაო. ადამიანის საღმა, სიცოცხლის მოყვარულმა ინსტიქტმა გაიმარჯვა და ომმა ოთხწელიწადზედ მეტი გასტანა და მაში დახარჯულმა ამოქმედებულმა ენერგიამ და სიმდიდრემ ორმოცი წლის ნაგროვ პოტენციალობას გადააჭარბა.

რამდენადაც ძლევამოსილი გამოდიოდა გერმანია, რამდენადაც მისი რკინის ბატალიონები მიიწევდნენ წინ რუსეთსა და საფრანგეთში იმდენად მსოფლიოს ცბიერი დიპლომატები უგალობდნენ ქვეყანას, რომ საფრანგეთი და ინგლისი და შემდეგ ნამეტნავად ამერიკა—იბრძვიან სამართლიანობისა და პატარა ერთა განთავისუფლებისათვისო და ამავე დროს იპყრობდნენ ეგვიპტეს, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ირლანდიას, ლუპავდნენ საბერძნეთს და სხვას. გამარჯვებული გერმანია ანთავისუფლებდა მცირე ერებს დამარცხებულ ქვეყნებისას, ე. ი. სხვის სახელმწიფოში და დამარცხებული კოალიცია ამასვე ჰპირდებოდა მცირე ერებს არა თავისას, არამედ მოპირდაპირე მხარეში მოქცეულთ. თვით ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემაც კი აღუთქვა თავისუფლება ავსტრიის ერებს მაშინ, როცა პოლონეთს ელეტდნენ და დანარჩენ რუსეთის მოსახლე ერებს სულს ხდიდნენ.

ასეთია ომი, ასეთია დიპლომატია და ასეთივე იქნება, რადგან დღეს გამარჯვებულ კოალიციას დაავიწყდა უკვე დაპირებული სამართლიანობისა და მცირე ერთა დამცველი პრინციპი: დღეს ბელგიას ფრანგის ჯარები იპყრობენ, რუსეთის განთავისუფლებულ მცირე ერთა თავისუფლებას არავინ ესარჩლება და უდიდესი ქურუმი—მშვიდობინობისა, რომელსაც არა მარტო ხელში ეჭირა ზეთის ხილის შტო, არამედ პირზედაც ზეთი ჩამოსდიოდა—ვილსონი—ყოვლად უსამართლო, სასტიკ ბლოკადას უპირებს გერმანიას და იარაღსა ჰყრის მას, როგორც ველური წითელკანიანი, წაქცეულ მოპირდაპირეს თოკით აბამს და თავის ქალასა ხდის... და იმავე დროს თავისი მღივნის პირით აცხადებს: „საერთო იარაღის აყრა და ხალხთა ლიგა მომავლის საქმეა, ეხლა კი უნდა სისწრაფით ავაგოთ 10 დრეტნოუტი, 20 გემი და ასორმოცი გამანადგურებელი“... რასაკვირველია, სამართლიანობისა და მშვიდობიანობისათვის.

როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში პ ო ლ ი ტ ი კ ა მცირე ერებისა?

სუსტნი გონებით და სულით გაიძახიან: ჩვენ რა შეგვიძლიან, ვინც გაიმარჯვებს, იმის ნებაზედ იქნება ყველაფერი, ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა და ნეიტრალიტეტი. მაგრამ საღი ინსტიქტი თუ აღარა აქვს ხალხს,—საღი გონების თვალით მაინც უნდა დაინახოს, რომ მხოლოდ ომმა მისცა რუსეთის ერებს თავისუფლება, იმ ერებს, რომელთაც მშვიდობიანობისა და კაცთ-მოყვარეობის დროს ნება-ნება ახრჩობდნენ და დედამიწის ზურგიდან შლიდნენ.

ამიტომ რაც უფრო ხანგრძლივი იქნება ომი დიდ სახელმწიფოთა შორის, მით უფრო უკეთესია მცირეთათვის. ომის დროს დიდი სახელმწიფონი ანგარიშს უწევენ მცირე ძალებსაც და მხოლოდ ამითი მოვიგეთ რამე; და თუნდაც არ უწევდნენ ანგარიშს,—ომი რაც მეტად დაასუსტებს დიდებს, მით უფრო წონა ემატება პატარებს.

ჩვენ გაგვანთავისუფლა ომმა და მშვიდობიანობის ჩამოგდებამ შეიძლება ისევ დაგვამონოს, თუ არ ვისარგებლეთ გარდამავალი ხანით და მაქსიმუმი ენერგიისა არ დავხარჯეთ საკუთარი ძალღონისა და ტერიტორიის მოკრებით. ის, რაც შეიძლება შევინარჩუნოთ ჩვენის ძალით საერთო კონფერენციამდე—ჩვენი დარჩება საბოლოოდაც, მაგრამ თუ ჯარი არ გვეყოლება, ფინანსები დღევანდელ უმწეო მდგომარეობაში დარჩება, პრესტიჟი მთავრობისა არ განმტკიცდება, მაშინ საშველი აღარ იქნება, ჩვენ დაგვაბამენ იქ, სადაც ამას ერთი ინგლისელი ჯონი მოინდომებს, ან იქნება რუსის ღენერალიც.

ჩვენს მთავრობას თუ სურს ვილსონობა და მშვიდობიან სიმღერას ბანს აძლევს თფილისიდან, უნდა ბოლომდე მიჰბაძოს მას და ჯავშნით აჰკაზმოს ჯარიცა. ლამაზი თვალების პოლიტიკა—მუდამ წაგებულია და მშვიდობიანობის დროს უფრო, ვიდრე ომის დროს. ჩვენ შიშით უნდა მოველოდეთ მშვიდობიანობის ჩამოგდებას მაშინ, როცა ძალზე მოვისუსტებთ.

# სამღვთო სჯული პარლამენტში

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ განაცხადა პარლამენტში ბ-ნ დოლიძეს პირით, რომ „სარწმუნოება ხელს უშლის სოციალიზმის გავრცელებასაო“ და ეს მართალიც არის, რადგან ერთი სარწმუნოება ყოველთვის უშლის მეორეს გავრცელებას ერთსა და იმავე ფარგლებში, მეტადრე მაშინ, როდესაც პირველს, ქრისტიანულს, უპირატესობა აქვს არა მარტო მორალური სიმაღლისა, არამედ ცხოვრების კონკრეტულ ზნეობის კოდექსსაც შეიცავს, მაშინ როდესაც სოციალიზმს ჯერ განყენებული ოცნების მეტი არა ახლავს რა, რომ „სასურველია“ ძმობა, ერთობა და თანასწორობა.

ასეთ ბრძოლაში ჩვეულებრივ, რენეგატები ყველაზედ უფრო სასტიკნი არიან ხოლმე და „იმით აიხსნება სოციალ-დემოკრატების ასეთი გაშმაგება სარწმუნოების წინააღმდეგ, რომ ბევრი მათგანი ან ნადიაკვნარი ან მღვდლის შვილიაო,—როგორც იოხუნჯა ერთმა საზოგადო მოღვაწემ,—და თითონ ბ-ნი დოლიძეც ყოფილი დიაკვანი არისო“. იქნება ეს მართალიც არ იყოს, მაგრამ ზედგამოჭრილი კი არის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ახალი მცნების მიმდევარნი თავისიანებს უფრო სასტიკად მოსთხოვენ ხოლმე ძველის დავიწყებას და საინტერესოა ვიცოდეთ რა სასჯელი აქვთ მისჯილი პარტიისაგან იმ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ქრისტიანულ სარწმუნოების მიხედვით ან ჯვარს დაიწერენ, ან მოინათლებიან, ან დაიმარხებიან? ეს კი ვიცით, რომ სკოლაში ჯერ არავის იღებენ, თუ მღვდლის მეტრიკა არა აქვს და საჯარისკაცოებსაც საეკლესიო წიგნებით არჩევენ წლოვანობით.

მე არ მინდა ბოროტი ვიყო და მოვინდომო, რომ სოციალ-დემოკრატიის ყოველ ოჯახს თითო წევრი მაინც მოჰკლომოდეს, რომ გვენახა რამდენი პროცენტები ამ „ურწმუნო“ ხალხისა დამარხავდა მათ უმღვდლოდ და ეკლესიის გარეშე. მე არ მინდა არც მათი ქორწილები და ნათლობა, მაგრამ საინტერესოა, მთელ საქართველოში რამდენია მათში ჯვარდაუწერელი, მოუნათლავი, ან სხვა საეკლესიო წეს-უსრულებელი? და როდესაც ისეთია მდგომარეობა, რომ არა მარტო ძველი რეჟიმის დროს, როცა „კომპრომისი სინდისთან“ სავალდებულო იყო სოციალ-დემოკრატებისათვის, არამედ ეხლაც ბევრი ნაბიჯს ვერ გადაადგამს უეკლესიოდ, რადგან ამის გამბედაობა არა აქვს,—განა ეს მასხარად აგდება არ არის იმ სარწმუნოება—სოციალიზმისა, რომლის სახელით ისინი სდევნიან მეორე სარწმუნოებას? განა ამით ისინი არ ემსგავსებიან იმ აფრიკელ ველურებს, რომელნიც ჰუპუან ტიტველა ტანზედ იცვამენ ფრაკებს ევროპიელთა მისაბაძავად?

მე მესმის როცა ევროპიელთა თვალის ასახვევად, ს. დ-ებს გაჰყავთ კანონი „ყველა სოფელში ტელეფონის მოწყობისა“, თუნდაც უმრავლესობა აპარატებისა ისე დაჟანგდეს, რომ კაცმა არ დაილაპარაკოს; მე მესმის როცა ბიბლიოთეკებსა ხსნიან იქ, სადაც არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე არ არის—ყველა ეს თვალთმაქცური კულტურის მაჩვენებელი მაინც არის, თუ ნამდვილი კულტურა არა; მაგრამ მე არ მესმის, როცა სკოლიდან სდევნიან სარწმუნოებასა და სამღვთო სჯულს, რასაც ევროპაში ასე მოუფიქრებლად, ანაზდეულად არსად ადგილი არა ჰქონია და არც ექნება.

მე მესმის, როცა ყაჩაღურად სტაცებენ მიწას მემამულეს და აძლევენ გლეხებს, რადგან მათი ინსტიქტი მოითხოვს ამას და მათ არ შეუძლიანთ არ მისცენ, თუნდაც იმიტომ, რომ სათავისჯამაგიროთ ხაზინა გაავსონ.

მე მესმის, როცა აწესებენ 8 საათის სამუშაო დღეს, რადგან ამას მოითხოვენ მათი „მოწინავე მუშები“, რომელნიც ხუთსაც არ მუშაობენ და ევროპიელთ კი ებაძებიან; მაგრამ მე არ მესმის სამღვთო სჯულის განდევნა, როცა ამას არავინ არ მოითხოვს და ნამეტნავად ის დემოსი, გლეხკაცობა და მუშები, რომლის სახელით ასე ბოროტად ვაჭრობენ სოციალ დემოკრატები.

რად უნდოდათ ეს ს.-დ-ებს? რა ახალი ფარისევლობისა და თვალთ-მაქცობისათვის? ევროპა უნდათ გააკვირვონ თავისი საკუთარი ურწმუნობით, როდესაც ხალხი, საუბედუროდ, ცრუმორწმუნეობით იკლავს ჟინსა, როდესაც ნამდვილი მწყემსი არ ჰყავს?

და როდესაც ასეთ ურწმუნოების ფრაკებს იცვამენ, რად ავიწყდებათ, რომ ქვეშ აღარა აცვიათრა გარდა ცრუმორწმუნეობისა და sans cullate-ებად გამოდიან, „უშარვლო დემოკრატიად“, რბილად რომ ვსთქვათ.

სხვა სარწმუნოებათა შორის, სოციალ-დემოკრატიამ ყველაზედ ბევრი იეზუიტობისაგან შეითვისა და ამიტომ ამბობდა ჩვენს პარლამენტში: „უსამართლობა იქნებოდა ურწმუნოთა ხარჯით მორწმუნეთ გასწავლაო“, თითქო არ იცოდნენ, რომ ეხლა არა მარტო სწავლება რისამე სასიკეთოსი, არამედ ხალხის გაბრიყვებაც „ფსევდო-ურწმუნო“ სოციალ-დემოკრატიის და ბევრი ჩვენი ურწმუნო პირების შენახვა ვალად აწევება არა მარტო მორწმუნე ეხლანდელს თაობას, არამედ შავი ჭირივით დააწვება იმ თაობასაც, რომელსაც ვეღარ მოესწრება ბ-ნი ნათაძე, რომლის პირითაც მეტყველობდა სოციალ დემოკრატია.

და თუ სამღვთო-სჯულიდან ისწავლა ლაპარაკი სამართლიანობაზედ, რატომ ასე უსამართლოდ იქცევა ცხოვრებაში: ურწმუნოთა ხარჯით მორწმუნეთა უმრავლესობის სწავლება უსამართლობაა და მორწმუნეთა ხარჯით ურწმუნოთა უმცირესობის შენახვა—სამართლიანობაა? ეს ხომ ეწინააღმდეგება თქვენ „დემოკრატიულ“ პრინციპსაც და უახლოვდება ჰოტენტოტურს: როცა მე გჭამ—კარგია, როცა შენ მჭამ—ცუდია; თუ მე წაგართმევ კარგია, თუ შენ წამართმევ—ცუდიაო.

ასეთი შეცვლა ქრისტიანულ მორალისა, რასაც ჩვენ ყოველ დღე ვხდავთ მათს ცხოვრებაში—არ არის მაინცა და მაინც პროგრესიული და ევროპიელებისათვის მოსაწონი, რომელთაც კარგად იციან გარჩევა დემოკრატიულ და პროგრესიულ ზიზილ-პიპილებისა, არსებითათ უშარვლო და უზანებელ ჩამორჩენილობისაგან.

ჭეშმარიტი პროგრესი, ცივილიზაცია მოითხოვს, რასაკვირველია, შეცვლას იმ ბევრი დახავსებულ ცნობებისა და ატრიბუტებისას, რომელნიც თანა სდევენ ყოველ სარწმუნოებას მაგრამ მოუფიქრებლად განდევნა სამღვთო სჯულისა და სარწმუნოებისა მაშინ, როდესაც სამაგიეროდ არაფერს აძლევთ ხალხს გარდა სოციალ დემოკრატიული პროგრამისა, რომელიც კვირაში სამჯერ იცვლება—ეს ზერელობის მაჩვენებელია მხოლოდ. და სასტიკად მავნებელი.

მართლაც, ლოცვებთან და სლავიანურ ტექსტებთან ერთად, ხომ უნდა განიდევნოს მორალიც?

„ნუ მოიპარავ“, სწერია სამღვთო სჯულში და ეს მცნება ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ სოციალისტური კომიტეტების მსგავსი აღვირ წახსნილობა არ გამეფდეს საბოლოოდ ხომ?

„ნუ მოჰკლავ“,—ამბობს ქრისტიანული მცნება და განა ეს მუდამ არ უნდა უჩიჩინოთ ადამიანს სიყრმიდან—სიკვდილამდე, რომ გვარდიელთა და მილიციელთა თავაშვებულობა მთელი ერისათვის კანონად არ იქცეს?

„ნუ იცრუებ“—და განა დღე მუდამ არ უნდა ისწავლოს ეს მცნება ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ და მისმა ლიდერმა ირაკლი წერეთელმა (რომლის სიცრუე ზღაპრული ჩიტივით დიდ რუსეთში არ ეტეოდა და პატარა საქართველოში კი ლაღი იყო და არის), რომ საქართველო საბასულხან ორბელიანის „სიცრუის სამეფოდ“ არ გადაიქცეს?

„ნურას ინდომებ სხვისასაო“—ნათქვამი არის იქა და, რაღა თქმა უნდა, ესდეკებისათვის ეს ხელსაყრელი არ არის სწორედ მაშინ, როცა მარტო იმით გაითქვეს სახელი, რომ სხვისა ფულები, მიწები, სახლები, ბინები, ავტომობილები და ავეჯიც კი დაიჩემეს—მაგრამ ხომ როდისმე დადგება დრო, როდესაც მთელი ეს შენაძენი, ვთქვათ, საბოლოოდ თქვენი იქნება, მაშინ ხომ უნდა იცოდეს ხალხმა, რომ ამის წართმევა და მონდომება—უკანონობა ღა იქნება? მორალი ერთი დღისთვის არ იწერება და ჯერ კიდევ ქრისტემა სთქვა ორი ათასი წლის წინად: ვინც მახვილს მოიხმარს, მახვილითვე [illegible]ებაო და ქართველმა ხალხმა უფრო [illegible] ეს მცნება: ვინც ქარს დასთესს, ის ქარიშხალს მოიმკისო.

მორალი სხვა და სხვანაირი არის, მაგ. „ყაჩაღობა“ სხვა და სხვანაირად ესმითო, ბრძანა ლეო ნათაძემ;—რაღა თქმა უნდა, ეს მართალია, მაგრამ ყველა ზნეობის მასწავლებელი სცდილობს „ყაჩაღობა“ სხვასაც ისე ესმოდეს, როგორც მას ესმის და თუ სოციალ-დემოკრატიამ თავს მოახვია მთელ ხალხს ის ამორალური მდგომარეობა, რომელსაც ის ეხლა განიცდის სოციალ-დემოკრატიის ბატონობის დროს—საფრთხე სწორედ ამ „ყაჩაღობაში“ იქნება და ქართველ ხალხს განსჯიან არა უხმარ ტელეფონების და ბიბლიოთეკების სიმრავლით, არამედ ხანჯლებისა და თოფის ჭახუნის მიხედვით. და თუ აქამდე ანეკდოტი იყო, რომ „ქართველ ხალხს არც სინიდისი აქვს და არც ნამუსიო“, რადგან სინიდისი ბერძნული სიტყვაა და ნამუსი—თათრულიო, მე ვშიშობ, რომ სამღვთო-სჯულის განდევნის შემდეგ, როცა მის მაგიერ არაფერი შემოაქვთ გარდა „ტაბულა რაზისა“,—ეს ანეკდოტი იმ სინამდვილედ გადაიქცევა, სამუდამოდ, რომელსაც ეხლა განვიცდით... დროებით, ვგონებ.

რ. გაბაშვილი

# საქართველოს გამთელებისათვის

ვერ ჰპოვებს კეთილს გამოძახილს საქართველოს სამაჰმადიანო პროვინციებში 22 ნოემბრის კანონი. გაუქმდა სჯულის სწავლება როგორც საქრისტიანო, ისე სამაჰმადიანო სკოლებში. უკანასკნელებში შარიატის სახითაც კი. პარტიულმა სექტანტობამ და რევოლიუციონურმა ვულგარიზმმა სძლია გონიერებასაც და საღ პოლიტიკასაც. ჩვენს სოციალისტებზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს ვერც მათმა მოწინააღმდეგებმა, ვერც მათმა ამხანაგებმა—მაჰმადიანმა დეპუტატებმა ამაოდ ემუდარებოდა სოციალისტი დეპუტატი აჭარელი მაჰმედ ბეგ აბაშიძე; ამაოდ აფრთხილებდა თავის ფრაქციას სო—დემოკრატი ბ-ნი ახვერდოვი: „ნუ აძლევთ მასალას პროვოკაციას, ნუ იმეორებთ მუსულმან კუთხეებში კარგათ ცნობილი რუსი მოხელის—„ანტონ ზახარიჩის“ პოლიტიკასაო.“ ვერც ჰაიდარ ბეგ აბაშიძის თავჩაქინდრულმა სიჩუმემ გასჭრა. ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ და მათმა ამყოლმა ფედერალისტებმა თავისი გაიტანეს. დაიმშვიდეს სოციალისტური სვინდისი! არ მოერიდნენ არც დემოკრატიზმის პრინციპის შელახვას, არც საკუთარ საქმიანობის შეფურთხებას. მთელი მაჰმადიანთ[illegible] წარმომადგენლობა ერთხმათ უკლებ[illegible] [illegible]ოვდა შარიატის სწავლების შენახვას, ჩვენმ[illegible] „დემოკრატებმა“ ამას ყური არ ათხოვეს.

აგერ მთელი სასწავლო წელიწადი არის რაც ქალაქის სოციალისტურმა თვითმმართველობამ სოც.-დემოკ. ინიციატივით მიიღო და ახორციელებდა კანონს, რომლის ძალითაც სკოლაში შარიატი ისწავლებოდა სახელმწიფო ხარჯით. პარლამენტის სასკოლო კომისიამ სიტყვა სიტყვით შეიტანა ეს დებულება კანონ-პროექტში. მომხსენებელმა სოც.-დემ. ლ. ნათაძემ იგი დაიცვა უმთავრესათ „პოლიტიკურის მოსაზრებით“. და აი ეს მთლად თავითფეხებამდე სოციალ-დემოკრატიული საქმე უარჰყო სოციალ-დემოკრატიამ პარლამენტში. რა მაღალი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, ეს ვერ გავიგეთ მათი ლაპარიკიდამ პარლამენტში, არც დღეს ვიცით, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ კვლავ გავიმეორეთ ძველი შეცდომა და გავიმეორეთ არა რომელიმე პარტიის სახელით როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ საქარ-

თველოს უზენაესი კანონმდებელი ორგანოს-პარლამენტის დადგენილებით და კვლავ შეიძლება დიდი, ძველი და დაუცხრომელი ტკივილები ავუშალოთ იმათ, ვინც დღეს, ყველა მოსულ ცნობების მიხედვით, თავიანთი პოლიტიკის გადასინჯვის ხანაში არიან და თავის სიმპატიასა და ბედს საბოლოოდ ჩვენსკენა ჰხრიან.

მის მაგიერ, რომ ჩვენც გადაგვესინჯა ჩვენი პოლიტიკა, აღგვენიშნა ჩვენი შეცდომებიც, ჩვენ კვლავ ვიმეორებთ იმას, რაზედაც გვაფრთხილებდნენ ჩვენი მეგობარი, ქართველი მაჰმადიანი პატრიოტი ინტელიგენტები. მაგრამ რაღაცა ბოროტი ჯიუტობით არ უჯერებდნენ მათ წინათ, როგორც არ დაუჯერეს ეხლა პარლამენტში.

თუ მოვიმკეთ ის, რასაც ვიმკიდით აქამდის, დამღუპველი იქნება, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ისტორია ერთხელ კიდევ, და შეიძლება უკანასკნელათ,—კვლავ გვიბრუნებს საქართველოს გამთელების შესაძლებლობას. საუკუნოებით ჩამოჭრილ ნაჭრების კვლავ ერთ სახელმწიფო სხეულში შედუღების და აღდგენის საკითხი ისმის და საქმე ხორციელდება—ნუ თუ ისე დაგვსაჯა განგებამ, რომ მთლათ ბრმანი ვართ, აღარ გვაქვს უნარი შევძლოთ შეცდომის შეგნება?

რად დამარცხდა, გინდ დროებით, საქართველოს მთლიანობის იდეა, ამ პროვენციებში? ხომ აქეთ—ჩვენსკენ მოეზიდებოდენ ამ პროვინციებს მათი გეოგრაფიული მდებარეობა, ჩვენსკენ ჰქონდათ გამობმული ეკონომიური კავშირი, პოლიტიკური თავისუფლების პერსპექტივები აქეთ უფრო მომხიბლველათ იშლებოდნენ. კულტურული საქმიანობა შედარებით უკვე გაწყობილი გვქონდა. ვინც იცნობს მუჰაჯირების განწყობილებას, რომელთაც მუდმივი ცოცხალი კავშირი ჰქონდათ აჭარელ-ახალციხელებთან, ვინც იცნობს მათ ბიბლიურს ლტოლვას აღთქმის ქვეყნისაკენ, „დედა" საქართველოსაკენ, ვინც ნახა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ შემდგარი ლეგიონი, პატარა, მაგრამ ძლიერი სულით, ის იმაშიაც დაგვეთანხმება, რომ ამ ხალხის სიმპატიებიც ნაკლებად იყო ოსმალო ან ბაქოელ თათრობისაკენ. უკანასკნელებთან საქართველოს სამაჰმადიანო პროვინციებს აკავშირებდა მხოლოდ სარწმუნოება და ამ სარწმუნოებაზედ ნაშენი სოციალურ-ფსიხოლოგიური ტრადიცია.

აი, ეს ორი მოვლენა გახლავთ, რომელნიც ჩვენ ხელთ არ იყო. ჩვენ ანგარიშს ვუწევდით პირველს, ხოლო მეორეს, განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ, უდიერად ვეპყრობოდით. სწორედ აქ დავმარცხდით. ვერ დავძლიეთ ეს უკანასკნელი მოვლენა. საქართველოს სანაპირო არამც თუ სამაჰმადიანო, საქრისტიანო პროვინციებიც სავსენი არიან თავისუბურის ტრადიციით და ეს ტრადიცია მთავარი ღაწვი გახლავთ მათ სახეზე. ჩვენი ქვეყნის დიდი მცოდნე, ქართველ მთიულების მკვლევარი სწავლული გერმანელი **დოქტ. რადდე,** ერთ-ერთ ქართველ კრისტიან ტომზე ასე ამბობდა:

„ვინაიდან რუსის ხელით მიადგა მათ ევროპიული მართვა და კულტურული წესები, მტრათ შეხვდნენ მათ, პირი იბრუნეს და ბუნების კანონის ძალით თავის წარსულს ჩაებღაუჭნენ მთელის თავის რწმენით და სიყვარულით. ტრადიციის მორევში შეერივნენ. ამ ხალხს—დასძენს რადდე—მეტად გონიერი, შეფერებული მათ ტრადიციასთან მოვლა და პატრონობა ესაჭიროება". სწორედ ასეთსავე დარიგებას აძლევდა რუსის მთავრობას აჭარლების შესახებ ჯერ კიდევ მათ შემოერთების შემდეგ კავკასიის მეორე კარგი მცოდნე ბ-ნი **ვეიდენბაუმი.**

ამ ხალხის საბოლოოთ შემოერთებისათვის იგი ურჩევდა რუსის მთავრობას, რომ უკანასკნელი დასდგომოდა ქართული მთავრობის გზას და პოლიტიკას, რომელსაც მისი სიტყვით „ისეთი ღრმა პატივისცემა, სიყვარული და იშვიათი ერთგულება ქვეშევრდომისა აღუზრდია მაჰმადიანობაშიაც კი, რომ დღეს, როდესაც გაჰქრა ქართული მთავრობა და მისწყდა მისი ლანდიც კი, ეს მაჰმადიანობა საქართველოს სიძველეთა ისეთივე ერთგული დამცველი და პატივისმცემელი არის, როგორც წინად, საქართველოს ბატონობის დროს იყოვო. ჩვენი სოციალისტებისათვის, რასაკვირველია, არც დოქტ. რადდეს, არც ვეიდენბაუმის რჩევას და არც ქართულ მმართველობის ძველ ტრადიციას ფასი არა აქვს. მათ საკუთარი საზომი აქვსთ. ცხოვრებისაგან უკუგდებულ პროგრამმის მკვდარი მუხლები, რომლის წარმოთქმა ბ 5 დოლიძესაც შესძლებია და რომლის სასტიკი აღსრულება ამხანაგ კომისარს დაევალება.

მაგრამ საქართველო დიდხანს ამ გზით ვერ ივლის, ვინაიდამ ეგ იმის გზა არ არის.

საქართველო ვერ შეურიგდება ისეთს „ინტერნაციონალიზმის" პოლიტიკას, გინდ ფერადოვანი დემოკრატიის სახელით სწარმოებდეს იგი, რომელიც მას მეზობლებში სრულს იზოლიაციის გზაზე დააყენებს; ვერც საკუთარ პროვინციებისადმი აწარმოებს საქართველო ისეთს პოლიტიკას, რომელიც უწყალოთ სვრავდეს მათ ტრადიციას, სდალავდეს მათ გულს. დეპო-ნახალოვკაში შექმნილ გემოვნებაზე საქართველოს უწყალო ჭრას ბოლო უნდა მოეღოს! არსებითი ინტერესები და ადგილობრივი თავისებურობა ამა თუ იმ პროვინციისა უნდა პატივცემულ იქნას. ამას მოითხოვს სრულიად საქართველოს გამთელების საქმე! სოციალ-დემოკრატების „ფაბრიკაცია" აჭარა-აფხაზებისაგან უნდა გათავდეს! ადრე თუ გვიან ურწმუნო თომებმა სწორედ ისე, როგორც იწამეს მათგან ჯვარცმული დამოუკიდებლობა ერისა, უნდა იწამონ აგრეთვე საქციელი და გზა ღირსი და შესაფერი დამოუკიდებელი, თვით არსი ერისა. ეს ასე იქნება! მაშინ გვწამს მოეღება ბოლო ყალბ ტრაფარეტიკას და ყალბ და მავნე პოლიტიკას. ეს უკვე ხდება. 22 ნოემბრის კანონის შემდეგ, დღეს ძველ ახალ-ქალაქ, ამ ახალ-ციხეში შედის ახალ გაზდა ქართული ჯარი და მისი ჭაღარა სარდალი—გენ. მაყაშვილი და შეაქვს თან სიტყვა ქართული, ღირსი ქართული პოლიტიკისა. იგი აღუთქვის რჯულისა და ტრადიციის ხელშეუხებლობასა, დაცვასა და პატივისცემას იმისას, რასაც, ვეიდენბაუმის სიტყვით, მაჰმადიანებში იშვიათი ერთგულება აღუზრდია.

**შალვა ქარუმიძე.**

## საკვირაო მიმოხილვა

### დავითხანიანის ცნობის მოყვარეობა

კვირას, 24 ნოემბერს, ქართული კლუბის დარბაზში დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა კრება მოხდა.

კრების საგანი პოლიტიკური მომენტი და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები იყო.

სხვათა შორის, ამ კრებაზე „დაშნაკციუტუნის" და საქართველოს პარლამენტის წევრი დავითხანიანიც შემოვიდა.

დაშნაკელ დავითხანიანის დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატთა კრებაზე შემოსვლამ ბევრნი გააკვირვა, რაც თითონ დავითხანიანსაც შეუმჩნეველი არ დარჩა, და ცოტა ხნის კრებაზე ყოფნისა და გაზეთ „კლდის" ყიდვის შემდეგ გარედ გასვლა დააპირა, მაგრამ იქვე, კარებთან მდგომმა ახალგაზრდამ მიმართა:

„უკაცრავად, მალე საორგანიზაციო საკითხებზე გვექნება ლაპარაკი და ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი საინტერესოაო",

დავითხანიანმა თავი უხერხულად იგრძნო და ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, უპასუხა:

„გარედ გავიელი და ეხლავე მოვალო".

ეტყობოდა „დაშნაკციუტუნის" თვალსაჩინო წევრს თავისი პარტიის საქართველოს წინაალმდეგ მიმართულ ბნელ მოქმედებისათვის საკმარისად ვერ უცვნია ყველა ის მხილებანი, რომელიც მას დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენელთა პირით პარლამენტში ესმის და თვისი ცნობის-მოყვარეობის თვით ამ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა ინტიმურ კრებაზე ყოფნით დაკმაყოფილება მოინდომა, მაგრამ ნომერი ვერ გაუვიდა. იგი იცვნეს. თავისი ცნობის-მოყვარეობის საკმარისად დაკმაყოფილება ვერ მოასწრო და კრებაზე ჯერაც არ დაბრუნებულა.

## მორიგი შემოტევისათვის.

სულ მოკლე ხანში საერთაშორისო მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და დასავლეთი მოულოდნელი სიურპრიზების მოწამე გახდა. შუა-ევროპის კავშირის სახელმწიფოთა რკალის გახსნას, რომელშიაც პირველობა ბულგარეთმა აიღო, ლოღიკურად სტამბოლ ბერლინის შუა გაბმულ ძაფის გაწყვეტა და მით გერმანეთის ომის ველზე მარტოდ-მარტო დარჩენა მოჰყვა.

ამ უკანასკნელმა კიდევ ჩვეული ენერგიითა და ძლიერი ტემპით ომის სადავის ხელში დაჭერა ვეღარ შესძლო და ხმალი ძირს დაუშვა. ხოლო ინგლისის კოალიციის მიერ ნავარნახევი ზავის პირობები აუტანელი გახდა მიუხედავად ომის სამართლიან მიზნებზედ აუარებელი სიტყვის და მელნის დახარჯვია ამ კოალიციის ბელადთაგან.

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ასეთმა მდგომარეობამ დიდი რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენის მოტრფიალეთა და მის სივრცეზე აღმოცენებულ ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულთა მტრების ბანაკში ჯეროვანი გამოხმაურება ჰპოვა.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას პირველად ყოვლისა კავკასიონის გადაღმა მოხალისეთა არმია იპყრობს. მოკავშირეთა მიერ უკრაინაში შესვლამ, შავ ზღვაზე სამოქმედო ბაზისა და ფლოტის აწყობამ მოხალისეთა არმია თავისებურ შეტევაზედაც კი გადაიყვანა და თუ დასცალდა 13 ნოემბერს ეკატერინოდარში გამართულ არაჩვეულებრივ სხდომაზე გენერალ დენიკინის მიერ წარმოთქმული სიტყვების სისრულეში მოყვანის იმედები შეიძლება არც თუ ისე მა- ლე ჩაქრეს.

„მოკავშირეთ რუსეთის მიმართ შემდეგი მოსაზრებები აქვთო, სთქვა მან: 1. საზავო კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენლობა, რასაკვირველია, არა ბოლშევიკებისა და იმ ტერიტორიულ შემადგენლობათ. წარმომადგენლობის სახით იქნება, რომელთა ძირითადი პრინციპები რადიკალურად ეწინააღმდეგება მოხალისეთა არმიის პრინციპებს. გერმანეთმა და მისმა მოკავშირეებმა უნდა დასცალონ რუსეთი 1914 წლის საზღვრებამდე, რომლებშიაც დარჩება ფინეთი. ასეთივე პირობა ედება პოლონეთსაც"-ო. ასე დაათავა თავისი სიტყვა ეკატერინოდარში ალექსეევის ანდერძის ამსრულებელმა. ხოლო თუ ზედ-მეტად მიაჩნიათ პოლონეთისა და ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ ლაპარაკი და მათ თავიანთ პირობებს უყენებენ, ჩვენთავის, რასაკვირველია ცხადია თუ როგორ შეხედავენ საქართველოს სუვერენობას. და რაც უფრო სახიფათოა, ამ გზით სვლისათვის დენიკინის არმიას ჩვენს ქვეყანაში ღირსეული ხელის შემწყობნი ბლომად მოეპოება, რომელნიც თავიანთ ღალატს კავკასიონის ქედს იქით მილიონების და მეომრების გზავნის გარდა, ბოლო დროს მოხალისეთა არმიის მოქმედებით იმედ მიცემულნი, აქაც საკმაოდ ამტკიცებენ: როვოკაციული პრესა იქნება ეს, სხვა და სხვა აფეთქების მოწყობა თუ საერთო საკითხებისათვის კონფერენციაზე მოსვლის მაგიერ ბოიკოტის გამოცხადება.

ინგლისელების ბათომსა და თფილისში მოსვლის ხმებმა და ბიჩერახოვის განჯაში გამოჩენისამ ფრთები შეასხა საქართველოს მტრებს და ამდენხანს ყოველთვის დამარცხებული ჩვენ წინააღმდეგ ამუშავებული ენერგია თითქოს კვლავ ამოძრავებას აპირობს. მათი პრესა გერმანეთის საბოლოო დამარცხებაზე და მით საქართველოს სუვერენობის უკანასკნელ წუთებზე (არ ვიცით კი რათ) ხმამაღლა გაჰკივის. ყველა მათი პერიოდული გამოცემები ვითომდა საერთო „დემოკრატიული ფრონტისათვის", რუსეთის არაქსამდე აღდგენას და მით საქართველოს სახელმწიფოებრივი სახის გათქვეფასა თხოულობენ. დაწყებული უკიდურეს ბოლშევიკიდან, გათავებული „რეჩში" მოკალათებულ „ისტინნო რუსკით", ყველა ერთ და იმავეს ეძიებს—ძველ, დიდ რუსეთს. შეიძლება ხანდახან ერთმანეთს გადამეტებულ დემოკრატიზმში გეჯიბრებიან ხოლმე, ისე კი თავს ერთ ჯამში იყრიან—მცირე ეროვნებათა გამსრესელ დიდ რუსეთში. და სითამამე „ზნამია ნაროდას" ფურცლებზე მოკალათებულ ხუდადოვებისა იქამდე მიდის, რომ ქართველ ერს ახალ ისტორიას უწერენ და მის ისტორიულ უფლებებზე ლაპარაკი ზედ-მეტად მიაჩნიათ. ხოლო თუ მიუმატებთ ყოველივე ამას უშნო ამფეთქებლებისა და ამ დღეებში სომხის პასუხის მგებელ წრეების მიერ საერთო საკითხების გამოსარკვევათ კონფერენციაზე მოსვლის მაგიერ ბოიკოტის გამოცხადებას, ჩვენთვის მკაფიოდ მოიხაზება ის საერთო შემომტევთა რკალი, რომლის თავი დენიკინთანა დევს, და გაივლის ჩვენი ქვეყნის დედაქალაქსა და სამხრეთით მომდგარ სომხის ჯარს, რომ ბოლო მოიბრუნოს ბიჩერახოვის რაზმთან.

გამარჯვებულ ინგლისის ინტერესები სახელმწიფოებრივი შენების გზაზე შემდგარ საქართველოს დაშლას სრულიადაც არ მოითხოვენ, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის ორგულთ ჰგონიათ, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსულ გათამამებულ უცხო ნაწილების და თვით ჩვენ ქვეყანაში მყოფ მოღალატეთა მზადება—კიცინს ქართველი ერი მზად უნდა შეხვდეს და ყოველ ავანტიურის თავიდან ასაცდენად მწყობრად ემზადოს ახალი მძლავრი თავდაცვისათვის შემომტევთაგან.

**ლ. ქ.**

## ქართული პრესა.

### უცხოელთა მოქმედებაზე საქართველოში.

გაზეთი „ერთობა" სწერს: რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არავის, გარდა თვით ადგილობრივ მთავრობისა, ნება არა აქვს დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სფეროში... ივიწყებენ, რომ სახელმწიფო არის ორგანიზაცია სუვერენული უზენაესობით აღჭურვილი და ამიტომ წარმოუდგენელია მის გვერდით კიდევ არსებობდეს სხვა რომელიმე სუვერენული ორგანიზაცია. ეს იქნებოდა სახელმწიფო სახელმწიფოში.

და სწორეთ ასეთი სახელმწიფოები შექმნეს ჩვენს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეროვნულმა საბჭოებმა. კონკრეტიულათ ეს შემდეგში გამოიხატა: სომხებმა, მაგალითად, არ იკმარეს ის, რომ თფილისში საკუთარი იარადის საწყობი ჰქონდათ.

თსების ეროვნულმა საბჭომ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაიჭირა დამოკიდებულობა და ამას ის არ მალავდა.

რუსები კიდევ უფრო გაბედულად და უტერემონიოთ იქცევიან: მათ საქართველოს დედა-ქალაქ თფილისში მოუწვევიათ ამიერკავკასიის რუს მცხოვრებთა ეროვნული საბჭო და ამ საბჭოს სახელით დეპუტატებიც კი აირჩიეს საქართველოს პარლამენტში! ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ ისინი ალექსეევის ლაშქრისთვისაც ადგენენ რაზმებს, როგორც საზოგადოებაში დაბეჯითებით ამბობენ. ალბათ, ამ ვაჟბატონებს ჰგონიათ, რომ სოფელი ნახეს უძლები და ამიტომ უჟრობათ ფიქრობენ ჩვენი უფლებების და ინტერესების ფეხქვეშ გათელვას".

სოციალ-დემოკრატებიც სწავლობენ ჭკუას, როგორც სჩანს, მაგრამ, საუბედუროთ, მხოლოდ ურემის გადაბრუნების შემდეგ.

## რეკვიზიცია თუ პროტექცია?!

სამშობლოს ცა ძალზე მოღრუბლულია; მუდამ უნდა ველოდეთ, რომ ჭექა-ქუხილი ატყდება. ერთი ამ ექვსი თვის წინ, როდესაც ამიერ-კავკასიის სეიმის გაჭირვებამ შვა დამოუკიდებელი საქართველო, ძალზედ შეხუთული ატმოსფერა იყო და მეორე—დღეს, როდესაც საქართველოს „შინაური" მტრები, ჩვენს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსები, სომხები და ძმანი მათნი, ნახეს რა დაჭრილი ლომი გერმანია და მაზედ გადავლილი ინგლისი, მეტად გათამამდნენ და იქამდე კადნიერდებიან, რომ მრავალ გვარ აფეთქებას გვიწყობენ და შემდეგშიც გვპირდებიან, აშკარად და უტიფრათ გვეუბნებიან, რომ მათ ქუჩებზე უკვე ყველიერი დგება და, დღეს თუ არა, ხვალ—კვლავ ისინი გაბატონდებიან ჩვენი სახელმწიფოს სუვერენობის მოსპობით.

ამავე დროს ახალციხე ახალ-ქალაქის მაზრებს არ გვიცლიან პირობისამებრ ადგილობრივი თათრები და აი როდესაც საჭირო ბრძოლით დაიჭიროს ჩვენმა ჯარმა ის ადგილები, ახალ-ციხისაკენ წასასვლელ მეორე არტილერიის ბრიგადის ბატარეიას ცხენები არა ჰყავს. გამოცხადდა რეკვიზიცია ცხენებისა თფილისში. ოთხი დღის განმავლობაში მხოლოდ ოთხმოცი ცხენი მიიღო თურმე კომისიამ, რადგან რეკვიზიციის დროს ცხენებს მალავენ რიყეზე სადღაც კატაკომბაში. ამ ოთხმოცი ცხენიდანაც ნახევარი უკან წაუყვანიათ პატრონებს. პატრონებს, რასაკვირველია, ისეთებს, რომლებსაც მოხერხება და გავლენა აქვთ, სადაც ეს საჭირო არის.

ზოგს, ალბად, ნათლიმამობით, ზოგს ნაცნობმეგობრობით, ზოგს კიდევ, ალბად, სხვა საშუალებით შესძლებიათ საუკეთესო ცხენების განთავისუფლება და რჩებიან ღარიბ მეეტლეს თუ მოქალაქის მკვდარი, გამხმარი, ჯაგლაგი ცხენები, რომელნიც ზარბაზნებში კი არა უბრალო ორთვალა ურემშიც არ შეიბმებიან, როგორც ამას ამბობდა გაბრაზებული მეექვსე ბატარეის უფროსი ჰ. ქარუმიძე.

მიდიან პირდაპირ მინისტრთან და იქიდან მოაქვთ მინისტრის მიერ მოწერილი რეზოლიუცია, რომელიც ამბობს დაახლოვებით ასე: დაუბრუნეთ, რეკვიზიციაში არ შედის (не подлежитъ реквизиціи), როგორც საქართველოს არა ქვეშევრდომის ცხენი. საკვირველია, თუნდაც ასეთ დემოკრატიულ მინისტრთან როგორ ბედავს მოქალაქე და როგორ აწუხებს ერთი ცხენისთვის. ამას გარდა ჩვენ გვაკვირვებს ის, რომ კომისიამ, რომელშიაც შედის მილიციის წარმომადგენელი, ქალაქის სამმართველოს წარმომადგენელი, ბეითალი და სამხედრო უწყებათა წარმომადგენელი, რომელიც თავმჯდომარეობს სარეკვიზიციო კომისიას, არ იცის ვისი ცხენები შედიან რეკვიზიციაში. შეიძლება კომისიას ერთი შეცდომა მოუვიდეს და ერთი ცხენი შეცდომით ჩამოართვას ამა თუ იმ პატრონს, მაგრამ ოთხმოციდან რომ ორმოცი საუკეთესო ცხენი უკან მიჰყავთ პატრონებს, აქ რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი, თორემ რატომ მდიდარ ფაბრიკანტს საფაროვს ან არზუმანოვს თუ არზუმიანცს უნდა დაუბრუნდეთ უკან ცხენები და იმ მალაკანს კი, რომელსაც ერთად ერთი ცხენის მეტი არა ჰყავს და მილიცია ქუჩაში ურმიდან („ტაჩკიდან") უშვებს და მიჰყავს სარეკვიზიციო კომისიასთან, მას კი არა?! ნუ თუ მარტო იმიტომ, რომ საფაროვებმა სასახლის გზა იციან და ღარიბმა მეეტლემ კი—არა? თუ ეს მართლა ასეა, ფრიად სამწუხარო და სავალალოა. თუ რეკვიზიციაა, პროტექციას ნუღარ ექნება ადგილი, თუ პროტექცია იქნება, იქ სრული და საჭირო რეკვიზიცია აღარ მოხდება. მაშ ნუ ექნება ადგილი პროტექციას განსაკუთრებით სამხედრო საქმეებში.

**მ. იმხნელი.**

## „ისპანიური" ავადმყოფობისაგან თავის დაცვა.

### (დარიგებანი)

1. უნდა ვერიდოთ იმ ოჯახებში სიარულს, სადაც ინფლუენციით ავადმყოფი იმყოფება.

2. როდესაც ავადმყოფთან გვიხდება ყოფნა, მისი სენი ჩვენც გადმოგვედება, თუ თვითონ ავადმყოფს ან მის ტანისამოსს შევეხეთ და მაშინვე არ გავიწმინდეთ ხელები ისეთი სითხით, რომელიც სპობს ინფლუენციის ბაქტერიას, ან არ დავიბანეთ ხელები საპნით.

3. თუ ავათმყოფს უვლით, შეიძლება მისგან ჩვენც გადმოგვედოს ინფლუენცია ან მაშინ, როდესაც იგი გველაპარაკება, ან როცა იგი ახველებს. ლაპარაკის და ხველების დროს ავადმყოფი ჰაერში აბნევს ნერწყვისა და ნახველის მრავალ წინწკლებს, რომლებიც შეიცავენ ინფლუენციის ბაქტერიებს, ამიტომ ყოველ შემთხვევაში საჭიროა პირი გავიწმინდოთ ბაქტერიების მხოცველ სითხეში დასველებული ტილოთი.

4. ავათმყოფის ნახველი ჭურჭელში უნდა გროვდებოდეს. ჭურჭელში კი ზემოთ ნაჩვენები სითხე ნახევრად უნდა იდგეს.

5. იმ საგნებს, რომელსაც ხმარობს ავათმყოფი, მეტადრე ჭურჭელს, უნდა მდუღარე წყალი გადაევლოს. ტანისამოსი, საცვლები და ლოგინი უნდა გამომზევდეს და 1—2 საათით დარჩეს მზეზე.

6. საჭიროა ავათმყოფის მორჩენის შემდეგ იმ ოთახში, სადაც იწვა ავადმყოფი, ...რი გასუფთავდეს. იატაკი გაირეცხოს სოდის წყლით ან რაიმე სხ. დეზინფექციური სითხით.

7. საჭიროა თავი შევიკავოთ და თეატრებსა და კინემატოგრაფებში არ ვაროთ, ვინაიდა ამ ადგილებში ბევრი ხალხი გროვდება და რასაკვირველია, მათში ინფლუენციით ავათმყოფებიც იქნებიან.

8. ვიგრძნობთ თუ არა ინფლუენციას, საჭიროა მაშინათვე ლოგინში დავწვეთ, რომ თავიდან ავიშოროთ სენის გართულება.

9. მორჩენის შემდეგ, როდესაც სიცხე დაიწევს, 3—4 დღეზე ადრე გარეთ გამოსვლა არ შეიძლება.

## ქრონიკა.

— **საადგილ-მამულო გამგეობაში.** ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ მოისმინა მოხსენება გამგეობის წევრის მ. ს. ქარცივაძისა გორის მაზრის ბაღების და ვენახების რაციონალურ პირობებში ჩაყენების და საუკეთესო ექსპლოატაციის შესახებ და დაადგინა: გაიგზავნოს ამ მაზრაში გამგეობის წევრი ა. ქ. კორინთელი, რომელსაც დაევალოს: 1) გამოიკვლიოს ადგილობრივ, თუ გორის საადგილ-მამულო გამგეობა რამდენად ანხორციელებს მიცემულ ინსტრუქციას ამ მამულების გამგეობის შესახებ. 2) თუ არ ასრულებს, დააკისროს მისი ასრულება, 3) თუ ბ. კორინთელი დაინახავს, რომ სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა უპატრონოდ დარჩენილი მამულები არ არის წესზე მოვლილი, გადასცეს კერძო პირთ, რომელთაც ანგარიში უნდა აწარმოვონ საადგილ-მამულო გამგეობასთან და განსაზღვრულ იჯარით გაიცეს, 4) ღვინო და ხილი უპატრონოდ დარჩენილი გაიყიდოს და 5) წინანდელ მოიჯარადრეებთან ამ სახელმწიფო მამულებზე ხელშეკრულობანი გააუქმოს.

— **განაჩენი ჩვენს ქვეშევრდომობაზე.** ახალ-ციხის და ახალ-ქალაქის დროებითი გენერალ-გუბერნატორმა გენ. გ. მაყაშვილმა წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს სოფ. ბაკურიანში მცხოვრებ სომხის ათ სოფლის განაჩენები, რომელნიც შუდგომლობენ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობის მიღების შესახებ.

— **გაზეთის გაყიდვა.** როგორც გადმოგვცეს, გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი" თავის სტამბითა და მოწყობილობით მის რედაქტორ-გამომცემელს ბ. ხაჩატურიანცს მიუყიდნია ვიღაც კრამსკისა და კადეტ დუმბროვსკისთვის 1,200,000 მანეთად. ახალ რედაქციას განზრახვა ჰქონია მიიწვიოს თანამშრომლად რამდენიმე ქართველი ჟურნალისტი. თავისი მიმართულებით გაზეთი ემგვანება რუსულ „რესპუბლიკას".

— **უცხოელ ქვეშევრდომების მიწები.** ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ მოისმინა ცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროსი საქართველოში მომქმედ კანონისა უცხოელ ქვეშევრდომ კერძო მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: რადგანაც აგრარული კანონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა არ გულისხმობს მას, რომ მიწები, რომელიც უცხოელებს ეკუთვნით გამორიცხულ იქნება იმ საერთო წესიდან, რომლის ძალითაც ყველა მესაკუთრეთა მამული ხდება საერთო სახელმწიფოს კუთვნილებათ, ამიტომ საქართველოს აგრარული კანონები ვრცელდება უცხოელთა მამულებზედაც.

— **დიაკვნების გაფიცვა.** ქუთაისურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" ცნობით, იმერეთის სოფლებში: რუქუთში, საჭილაოში და აბაშაში დიაკვნები გაიფიცნენ. გაფიცვის გამო ეკლესიებში მღვდელთ-მსახურება შეჩერებულია. მიზეზი გაფიცვისა ეკონომიურია.

**ქართველ ინჟინერთა ტეხნიკოსთაამხანაგობამ** კარალეთ-თორთიზისშემნახველგამსესხებელ საზოგადოებისაგან წინადადება მიიღო გორის ახლოს ჰიდრო-ელექტრონული სადგურის გამართვისა. სადგური საჭიროა მთელი ზემოხსენებული რაიონის გასანათებლად. წისქვილებისა და სხვა მანქანების ასამუშავებლად. ინჟინერთა ამხანაგობამ წინადადება მიიღო და პლანსაც ამუშავებს.

— **მკვლელობა ქურდობისათვის.** სოფელ ხაშმში (თფილისის მაზრა) ვასილ მაისურაძემ თავის ვენახში უცნობები შეამჩნია, რომელნიც ყურძენს იპარავდნენ. ქურდებს მაისურაძემ თოფი ესროლა. მოკლულია ჯარის-კაცი შალვა ბრეკვაძე. მკვლელი დაატუსაღეს.

— **ინდოეთის მოთხოვნილებანი.** ინდოეთის ნაციონალისტების ორგანო „Pro indian" ვილსონის პროგრამის თანახმად შემდეგ მოთხოვნილებებს აყენებს: 1. ინგლისმა ყველა თავისი ჯარები ინდოეთიდან უნდა გაიყვანოს. 2. ყველა თანამდებობანი, რომელნიც დღეს ინგლისელებს აქვთ დაჭერილი უნდა ინდოელებს გადაეცეს. 3. ინგლისელებმა, რომელნიც დარჩებიან ინდოეთში, ამ უკანასკნელს ერთგულება უნდა შეჰფიცონ. 4. მთავრობა ზავის შეკვრამდე შეცვლილი არ უნდა იყოს. ზავის ჩამოვარდნის შემდეგ იკრიბება ეროვნული საბჭო, რომელიც საჭირო მართვა-გამგეობას დააკანონებს. 5. ინდოეთს საზავო კონფერენციაზე თავის წარმომადგენლების გაგზავნისა და ერთა კავშირში ცალკე ერთეულად შესვლის უფლება უნდა მიეცეს. 6. ფრანგებმა და

პორტუგალელებმა მათ მიერ ინდოეთში დაკავებული ადგილები უნდა გასწმინდონ. 7. დაუნაწილებლობა და სუვერენობა ინდოეთისა უნდა იყოს ცნობილი.

— **მიწათ-მოქმედების მინისტრის ცნობა.** მიწათ-მოქმედების მინისტრმა შემდეგი ცნობა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრისაგან: ,,თანახმად ტფ. გუბერნიის კომისრის ცნობისა, თიანეთის მაზრაში საქმის მდგომარეობის შესახებ, ირკვევა, რომ ამ მაზრის მცხოვრებთა შორის უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ მიწის დაყოფა მცხოვრებთა შორის გვიანდება. მცხოვრებლებმა თვითონ დაიწყეს სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა მიწების დაყოფა, და რადგან ხშირად მიკერძოებას აქვს ალაგი, მოსდით მათ უსიამოვნება და ხშირად იარაღსაც მიმართავენ ხოლმე. დროზე მიღებულ ზომებით ეს შეიარაღებული შეტაკება ჯერ-ჯერობით აცილებულ იქმნენ და მშვიდობიანათ ათავებენ საქმეს. გარდა ამისა ხშირად ხდება, რომ მიწის დამმუშავებელნი ართმევენ მიწას უფრო შეძლებულთ, რომელთაც განსაზღვრულ ნორმაზე ნაკლები მიწა აბადიათ. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი სთხოვს მიწათ-მოქმედების მინისტრს შესაფერ განკარგულების ბოძებას“.

— **საცნობისმოყვარეო შემთხვევა.** „ორიზონი“ შემდეგს გადმოგვცემს: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ საქართველოს სოციად-დემოკრატიულ პარტიის საოლქო კომიტეტმა (იგი როგორღაც კვლავ იწოდება ამიერ-კავკასიის კომიტეტად) სომხეთის საბჭოს წევრს ს.-დ. არშავირ მელიქიანს ნოე რამიშვილის მიერ. ხელმოწერილი ქაღალდი გაუგზავნა, რომელშიაც არშავირ მელიქიანის სომხეთის საბჭოდან გამოსვლას და მის ნაცვლად მ. კარაბეკოვის დანიშვნას ითხოვდა. ამაზე მეტ თავის სახის დაკარგვას და თავმოყვარეობის უქონლობას ჩვენ სომხის სოციალ-დემოკრატებიდან არც მოველოდით. მელიქიანმა ამ მიწერილობას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და საბჭოს წევრობას კვლავ განაგრძობს. საჭიროა აღინიშნოს, რომ მელიქიანი ერთად-ერთი პიროვნებაა, რომელმაც ხანდახან საბჭოში რამიშვილის პოლიტიკის გამათრახება იცის ხოლმე“.

ამის შესახებ ,,ორიზონის'' ერევნელი კორესპონდენტი შენიშნავს: ,,წარმოდგენილი გვაქვს. როგორი ხმაურობა ატყდებოდა ,,ბორბასა'' და ,,ერთობის'' სვეტებზე, საქართველოს პარლამენტის სომეხი წევრები პარლამენტში... დაშნაკცაკანების მინისტრის არამის ხელმოწერილი მანდატით რომ მისულიყვნენო''.

— ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის აღმასრულებელმა ბიურომ მედიკო სანიტარულ ნაწილის გამგედ ექ. პ. ლ. კიკალეიშვილი მიიწვია. იმავე ბიურომ ქიმიკურ გამოკლევათა საოპერაციო კონსულტატათ ქიმიკი ლ. ბუდინოვი მოიწვია.

— **გაზეთი საქართველო დღეს არ გამოსულა**

# თეთრი გიორგი.

რვეულიდან ,,წარსულის სარკეში''

წარსულის ხელით ანთებული თეთრი ჩუქურთმა
უხდება საყდარს ხელგაშვერილ ღამის თენებით,
მთებით იხილა გველაშაპმა სახელ უკურთხმა
თეთრი გიორგი ცეცხლის რაშზე გამოჭენებით.
დაეცა ტკენით ზღაპრულ გმირის გვერდში დალახვრით,
აენთო ცეცხლი საქართველოს გულში ტარებით,
საფლავის ნესტი აიშალა ძვლების გადახვრით,
ეშმაკეული დაუძლურდა მზის გახარებით.
თეთრი გიორგის ორეული გაასეულდა,
მთვარის თეთრ რკალზე აშვილდული ლამაზი ხელი
ღმერთსაც შეშურდა, მოიქანცა და დასნეულდა,
სამშობლოს მთებით გაიჭედა წმინდა სახელი.
მლოცველის თვალი ვერრას ხედავს გიორგის გარდა,
საკურთხეველში აბრეშუმობს მისი ნაკვთები,
საქართველოს გულს გმირის სახე ასე ჩაბარდა,
თეთრი სვეტები სველდებიან ცრემლის წვეთებით.
იწვის უდაბნო, ინამება წვიმებით ხევი,
თეთრი რაინდი ამპარტავნობს თეთრ ჩუქურთმებში,
რაინდის შუბზე გველაშაპი გვერდ დანახევი,
ზღაპრად მძიმდება საქართველოს ჭაღარა თმებში...

თბილისი

გიორგობისთვე.

**ლადო მაჭავარიანი.**

# ჩვენი პარტია

## თფილისის ორგანიზაცია

კვირას, ნოემბრის 24, ახალი კლუბის დარბაზში შესდგა მრავალრიცხოვანი კრება ქ. თფილისში მცხოვრებ თანამოაზრეთა.

კრებაზე მომხსენებლები იყვნენ პარლამენტის წევრნი; ვეშაპელი გ., ვაჩნაძე დ., გაბაშვილი რ., და ქარუმიძე შ.

კრებას დაესწრო საზღვარ გარეთიდან ეხლახან დაბრუნებული ცნობილი მოღვაწე საქართველოს ,,განთავისუფლების კომიტეტისა'' გიორგი მაჩაბელი, რომელსაც კრება ოვაციით შეხვდა.

კრებაზე მოხდა რეგისტრაცია პარტიის წევრთა და არჩეულ იქმნა თფილისის საქალაქო კომიტეტი ხუთი წევრისაგან: ციციშვილი გ., იმხნელი შ., მამრაძე გ., ჩხეიძე გ., ნიჟარაძე რ., რომელნიც ამავე დროს ითვლებიან დ. ნ.-დ. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებად.

ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა საკონტროლო (სარევიზიო) კომისია სამი წევრისაგან: გაბაშვილი ნ., მგალობლიშვილი ი., და ნიჟარაძე გ.

## ქუთაისის პარტიული კრება

26 ნოემბერს, ქუთაისში, წმიდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში გაიმართა მრავალრიცხოვანი პარტიული კრება, რომელზედაც პარლამენტის წევრებმა გ. ვეშაპელმა და დ. ვაჩნაძემ წაიკითხეს მოხსენებანი დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის დაარსების შესახებ.

კრებას თავმჯდომარეობდა ვასილ წერეთელი.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ნიკო ლორთქიფანიძემ, ია ეკალაძემ, კ. კაპანელმა, კ. ლომთაძემ, გ. დადიანმა.

ნაწილმა კრებაზე დამსწრე გიმნაზიელებისამ მოინდომა კრების ჩაშლა, მაგრამ ობსტრუქტანტებს გაჰყვა მხოლოდ ერთი ნაწილი მოწაფეთა; მთელმა კრებამ ბ-ნ ვასილ წერეთლის წინადადებით დაადგინა დაუყონებლივ მოსთხოვოს ერ. დემ. მთავ. კომიტეტს განსაკუთრებული კომისიის საშუალებით დაუყონებლივ მოიწვიოს დაპირებული კონფერენცია პარტიის განხეთქილების გამოსარკვევად. საკონფერენციო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ვასილ წერეთელი, ნ. ლორთქიფანიძე, ია ეკალაძე, კ. კაპანელი, გ. დადიანი, ვ. ფალავანდიშვილი, დ. ღოღობერიძე.

კრებაზე არჩეულ იქმნა აგრეთვე დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრეთა ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტი, ათი კაცისაგან შემდგარი.

## ტელეგრამა ქუთაისიდან.

თფილისი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტს.

პირები „საქართველოს“ და „კლდის“ რედაქციებს. 26 ნოემბერს მოხდა დიდი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთათურა წევრთა ვეშაპელისა და ვაჩნაძის მოხსენებათა განსჯის შემდეგ კრებამ ერთ ხმათ დაადგინა განსაკუთრებული კომისიის პირით მოეთხოვოს მთავარ კომიტეტს დაუყონებლივ მოიწვიოს ქუთაისის საგუბერნიო კრებაზე დაპირებული საერთო პარტიული კონფერენცია განსახილველათ ამ პარტიის ჯგუფებს შორის მომხდარ უთანხმოებისა, რადგანაც პარტიის გაყოფას თვით პარტიის დაღუპვათა სთვლის. კრება და კომისია დაბეჯითებით მოითხოვს ამ დეპეშაზე დეპეშითვე პასუხს.

## ზესტაფონის პარტიული კრება

გუშინწინ ჩვენს რედაქციას შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა: ,,1918 წლის 28 ნოემბერს ყვირილის სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეულმა საზოგადო კრებამ, მოისმინა რა ბ-ნ გრიგოლ ვეშაპელისა და ბ-ნ დავით ვაჩნაძის მოხსენებები შესახებ პარტიაში მომხდარ განხეთქილებისა,—დაადგინა: თფილისის მთავარმა კომიტეტმა დაუყონებლივ მოიწვიოს პარტიული კონფერენცია, რომელიც საბოლოოდ გააშუქებს საქმის ჭეშმარიტს ვითარებას და აგრეთვე მოაგვარებს დამფუძნებელ კრების, საარჩევნო საქმეს, რითაც იმედოვნებს კრება რომ საქმე სასურველად დაგვირგვინდება.

კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერი: ზაქარია იმხნელი, მდივანი: დავით კელენჯერი.

=

ამავე კრებაზე შესდგა დამოუკ. ნაც, დემ. საორგანიზაციო კომიტეტი.

# ალლუმი ქუთაისში.

სამშაბათს 26 ნოემბერს ქუთაისში გაიმართა გარნიზონის პარადი რომელსაც წინ უსწრობდა წირვა. გენერალმა ართმელაძემ მშვენიერი სიტყვით მიმართა ჯარებს. ქუთაისის გარნიზონის ჯარი აღმოჩნდა კარგათ გაწვრთნილი და მოწყობილი. პარადში მონაწილეობა მიიღენ გერმანიიდან ახლად დაბრუნებულმა ტყვეება. იმავე დღეს ქუთაისში გამოვიდა საგანგებო გაზეთი რომლის შემოსავალი მოხმარდება ჯარის კულტურულ საჭიროებებს.

პარადს დაესწრნენ პარლამენტის წევრნი გ. ვეშაპელი და დ. ვაჩნაძე.

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XII.

## ახალი სახელმწიფო სამზარეულოები

არ შეიძლება სამართლიანის ქებით არ მოიხსენიოს ადამიანმა ის გასაოცარი ენერგია, რომლის მეოხებითაც დ ე დ ა ქალაქში დღეს ხელად გაიხსნა ათასი სახელმწიფო სამზარეულო თითოეული ათას კაცისათვის. მართალია, ისინი, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ ამ სამზარეულოებში იმ გვარ რამეებს ნახავდნენ, როგორც წინად, იყო დიდრონ ოტელების ტაბლდოტთან რომ შემომსხდარნი იყვნენ განებივრებული ბურჟუები, იმედ-გაცრუებული უნდა იყვნენ ეხლა. რასაკვირველია, გასოციალისტებულ საზოგადოების სახელმწიფო სამზარეულოებში თქვენ ვერც ლაქიას ნახავთ შავის ფრაკითა და ერთ ადლიან საჭმელების სიით ხელში და ვერც სხვა ამ გვარებს.

სახელმწიფოს სამზარეულოებს ნაჩვენები აქვთ ყოველივე წვრილმანიც-კი. არჩევანი სამზარეულოებს შორის, რასაკვირველია, აკრძალულია. ყველას უფლება აქვს იმ უბნის სამზარეულოში ი ს ა დ ი ლ ო ს, საცა მისი ბინაა. სადილი იძლევა 12 საათიდან 5 საათამდე. ყველა მიდის სამზარეულოში ან იმ დროს, როცა სადილისათვის მუშაობაზე ხელს იღებენ, ან მუშაობის გათავების შემდეგ.

სამწუხაროდ, მე და ჩემი ცოლი ერთად ვეღარ ვსადილობთ, როგორც დაჩვეული ვიყავით ოცდა ხუთის წლის განმავლობაში, რადგან სამუშაო დრო მე და ჩემს ცოლს სულ სხვა და სხვა გვარი გვაქვს. სასადილოში შესვლისას ბუხჰალტერს გადასცემენ ფულის წიგნაკს სადილის მარკის მოსახევათ, რის ნაცვლადაც ღებულობენ ნომერს, რომელიც ჯერის მაჩვენებელია. როგორც კი სუფრაზე ადგილი განთავისუფლდება და მაშასადამე, თქვენი ჯერი მოვა, თქვენ საჭმლისათვის მიდიხართ ბუფეტისაკენ. პოლიციელები სასტიკ თვალყურს ადევნებენ წეს-რიგს. ეს პოლიციელები—მათი რიცხვი დედაქალაქში 12000-მდე აღწევს—დღეს უფრო კრიჭაში უდგნენ ხალხს. მართალია სასადილოებში ნამეტანი შეხლა-შემოხლა იყო. ბერლინი მეტად პატარა გამოდგა სოციალ-დემოკრატიის უზარმაზარ დაწესებულებათა მოსათავსებლად.

სხდებიან, რასაკვირველია, ვისაც სად მოხვდება და ისე, როგორც სამუშაოდან მოდიან. ჩემს პირდაპირ მეწისქვილეს გვერდით ბუხრების მწმენდელა იჯდა. და მას უფრო ართობდა ესა, ვიდრე მეწისქვილეს. ადგილი მაგიდებთან რამდენადმე ვიწროა ასე, რომ ხანდახან მოხდება ისიც, რომ გვერდით მჯდომს იდაყვს წაჰკრავ ხოლმე. სადილი დიდხანს არ გრძელდება, ეს დრო ძალიან ძუნწადაც არის ნაანგარიშევი. სადილისათვის გამოთვლილ წუთების გასვლის შემდეგ, რასაც პოლიციელი საათით ხელში ადევნებს თვალყურს, ადგილი უნდა დაეთმოს იმას, ვინც ჯერს ელოდება.

როგორი უმაღლესი შეგნებაა, რომ ბერლინის ყველა სახელმწიფო სამზარეულოებში ეროსა და იმავე დღეს ერთი და იგივე საჭმელი მზადდება. რადგან ყველა სამზარეულომ დანადვილებით იცის რამდენი სულისათვის უნდა გაკეთდეს სადილი და მოსადილესაც აღარ ეჭირვება თითო არშინიან სადილის სიის თვალიერბა საჭმლის ასარჩევად, ამით აშორებულია ყოველ გვარი ზარალი, რაც დამზადებულ და გაუყიდველ სადილისაგან ხდება ხოლმე და რაც ისე საშინლად აძვირებდა სურსათის ფასებს უწინდელ ბურჟუაზიულ რესტორანებში. ეს მომჭირნეობა ერთი უმთავრესი გამარჯვებათაგანია სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციისა.

თავდაპირველათ, როგორც მეზობელმა მზარეულმა ქალმა გვიამბო, განზრახვა თურმე ჰქონდათ ყოველ სამზარეულოში შემოეღოთ სხვადასხვა თავი საჭმელები, ვისაც რა უნდოდა—არჩევით, იმ რიგად კი, რომ დაგვიანებულ მოსადილეთათვის, თუ ვინიცობაა გამოილევოდა ესა თუ ის კერძი, თანდათან მცირდებოდა არჩევანიც. მაგრამ ჩქარა დარწმუნდნენ, რომ ეს უსამართლობა იქნებოდა იმათ მიმართ, რომელთა სამუშაო საათები გვიან არის დანიშნული და ამიტომ მხოლოდ გვიან შეუძლიანთ სასადილოში მისვლა.

კერძი ყველასათვის ერთის ზომისაა. დღეს ძალიან გულით იცინოდნენ ერთ ვიღაც გაუძაძღარ კაცზე, რომელმაც დაარღვია სოციალ-დემოკრატიის პრინციპი თანასწორობისა და სადილის მომატება მოითხოვა. უარყოფილ იქმნა აგრეთვე ის აზრი, რომ ქალებს უფრო ნაკლები კერძი მისცემოდათ,—ეს არ ეთანხმება ორთავე სქესის თანასწორობას სავალდებულო სამუშაოს ერთნაირს პირობებში. მართალია, ზორბა მამაკაცებიც იმავე კერძით უნდა დაკმაყოფილდნენ. მაგრამ იმათში ისინი, რომელნიც წინად, როგორც ბურჟუა მეტისმეტად ისუქებდნენ თავს, ეხლა ცოტაოდენ ქონს დაჰკარგავენ და ეს სასარგებლოა მათთვის. ვისაც მუდამ ჯდომისაგან ან ბუნებითი თვისებით ეტყობა, რომ სქელდება და სუქდება, იმას რვა საათის სამუშაო დროს მეოხებით საშუალება ეძლევა მოცლილი დრო ყბედობას მოანდომოს. ამასთანვე, ყველას უფლება აქვს მიცემულ კერძი პურის ნარჩენიდან სახლში წაიღოს იმდენი, რამდენის შეჭმაც შეუძლია. დასასრულ, რომელთათვისაც მიცემული კერძი მეტია, ნება აქვთ სხვებს გაუზიარონ თავისი აერძი სადილზე.

როგორც ჩვენმა მეზობელმა გვიამბო, სახალხო საზრდოების სამინისტრომ საჭმლის საქმეს სამეცნიერო გამოკვლევა დაუდო საფუძვლად იმის შესახებ, თუ ადამინის სხეულისათვის რამდენია საჭირო აზოტიური ნივთიერება (ცილა) და არა აზოტიური (ქონი და ნახშირ წყალი). ყოველ დღე იძლევიან ხორცს (საშუალოდ 150 გრამს სულზე) და მასთან ბრინჯს, კრუპას ან სხვა მცენარეულობას (მუხუდო, ლობიო და სხვა), თითქმის ყოველთვის ბლომა კარტოფილით. ხუთშაბათობით იძლევიან მჟავე კომბოსტოს ცერცვით. კიოსკებზე შეგიძლიათ წაიკითხოთ განცხადება იმის შესახებ, რაც ყოველ დღე მზადდება დედა ქალაქში. მთელი კვირის ნუსხა ცხადდება საჭმელებისა სწორედ ისე, როგორც წინად თეატრის რეპერტუარს აცხადებდნენ ხოლმე. დედა მიწაზე სად ყოფილა ისეთი ხალხი, რომელსაც ასე უზრუნველი ჰქონდა ყოველ დღე ხორცი, როგორც ეხლა ჩვენა გვაქვს. საფრანგეთის მეფეც კი უმაღლეს იდეალად სთვლიდა იმას, რომ ყოველ გლეხს ყოველ კვირა დღეს ქათამი ჰქონოდა ქოთნით. ამასთანავე სახეში მისაღებია ისიც, რომ ოფიციალურად მიღებულ საერთო საზრდოს გარდა, ყველას უფლება აქვს ისაუზმოს და ივახშმოს კიდეც თავის გუნებისათ, როგორც ნებავს, რა თქმა უნდა, ფულის ასსიგნოვკების მიხედვით.

ამიერიდან აღარ არიან ულუკმაპუროები და უთავშესაფარონი! ყველასათვის ყოველ დღე ხორცი ქოთნით! მხოლოდ ამ ერთის მიზნის მიღწევა—იმდენად მაღალი აზრია, რომ მარტო ამისათვის უნდა მოითმინოს კაცმა ზოგიერთი ნაკლულევანება ახალის წესწყობილებისა. მართალია, ხორცის კერძი შეიძლებოდა ცოტა უფრო მეტი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენს წინდახედულ მთავრობას არ უნდოდა დასაწყისში მიეცა იმაზე მეტი, რაც საშუალოდ სადილზე იხარჯებოდა დედა ქალაქში. შემდეგში ყველაფერი თავსაყრელი გვექნება და უფრო კარგად მოწყობილი იმისდა მიხედვით, რამდენად გაუმჯობესდება ახალი დაწესებულებანი და დაძლეულ იქმნება გარდამავალი საფეხურები.

მხოლოდ ერთი რამ აკვეცავს ფრთებს ჩემს აღფრთოვანებას: ჩემი ცოლის სევდიანობა. ყოველ დღე თან და თან უფრო ნერვიულობა ეტყობა. 25 წლის განმავლობაში არ მოგვსვლია იმდენი უთანხმოება, რამდენიც ამ ახალ წყობილების შემოღების შემდეგ. სახელმწიფო სამზარეულოები მას არ მოსწონს. საჭმელი, იმის აზრით, ყაზარმულია და არა შინაურული სადილი. ხორცი მეტის მეტად ჩახარშულია, წვენი წყალ-წყალაა და სხვა. თუ წინადვე იცის რვა დღის განმავლობაში რა უნდა სჭამოს, წინადვე ეკარგება მადა.

წინად კი ბევრჯერ შემოუჩივლია ჩემთვის, რომ სიძვირის გამო არც კი იცის რა გააკეთოს. ყოველთვის მხარული იყო ხოლმე თუ რომელსამე კვირას სადილის მომზადება არ დასჭირდებოდა, იმიტომ რომ ჩვენ პატარა ექსკურსიას ვაწყობდით. თუმცა ქალები ყოველთვის გამოუძებნიან ნაკლს იმ საჭმელს, რომელიც თვით მათგან მომზადებული არ არის.

მე იმედი მაქვს, რომ როცა ის თავის შვილებსა და მამას ინახულებს სახელმწიფო დაწესებულებებში და ყველანი ჯანმრთელნი და მხიარულნი დაუხვდებიან, სულიერი მშვიდობიანობაც, რომელსაც წინად იგი ცხოვრების თვით უძნელეს წუთებშიაც არა ჰკარგავდა, კვლავ დაუბრუნდება.

(შემდეგი იქნება).

# ,,სარწმუნოება''

სწორედ იმ დროს, როცა საქართველოს პარლამენტში სწყდებოდა სახელმწიფო სარწმუნოების საკითხი და დამარცხდა,—სახელმწიფო თეატრში იდგმებოდა ბ-ნ ჯაბადარის მიერ „სარწმუნოება“ ბრიოსი და—,,გაიმარჯვა''.

მაგრამ ეს გამარჯვება იყო თეორიული და სინამდვილეში ბ-ნ ჯაბადრის მეცადინეობა მოუმწიფებლად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ეტყობოდა წარმოდგენას დიდი შრომა და სიყვარული, განდევნილი იყო გარეგნული აბსურდები, როცა მეთხუთმეტე საუკუნის ევროპიელ გმირს ჩვენს სცენაზედ ავლაბრის ჩუსტები აცვია, ან რომელიმე აღტაცებულ, პათოსიან სიტყვაში არტისტი სუფლიორის სარკმელს მიაჩერდება, საიდანაც წინასწარ გვესმოდა ყოველი სიტყვა,—ეს მართალია, მაგრამ საკმარისი არაა. იმ ახალგაზრდა ძალებით, რომელიცა ჰყავს ჯაბადარს შეიძლება მოწყობა მეტად კარგი ,,თეატრის მოყვარულთა'' წარმოდგენებისა, მაგრამ ამჟამადვე გამოსვლა დიდს სახელმწიფო თეატრში, როგორც ქართული თეატრის ამღორძინებელისა, ჯერ-ჯერობით შეცდომა არის.

თუ რამე იყო თვალსაჩინო წარმოდგენაში—ეს ისევ გამოცდილი არტისტების მოქმედება, საცა ბ-ნი იმხნელი წარმოადგენდა ნამდვილ ნახევრად ველურ მეფეს, გულზვიადს და ამაყს, მაგრამ მასთანავე ქედმოხრილს ამ ქვეყნის ძალთა წინაშე, მისი ხმა, მისი მოძრაობა, მისი ზოგიერთი ჟესტი უმაღლეს სილამაზემდე აღწევდა თავისი მიზანშეწონილობითა და სინამდვილესთან მიახლოვებით. თითქმის ასეთივე იყო ბ-ნი ზარდალიშვილიც.

მაგრამ უმწვერვალეს ესთეტიურ სიმაღლემდე იყო აყვანილი როლი ქ-ნ ქიქოძისა, ბრმა მიერისისა, რომელიც თავის თავად მეტად ძნელი, გაჭიანურებული და ხელსაყრელი არ არის არტისტისათვის, მაგრამ ქ-ნ ქიქოძის ტკბილი, მომჯადოებელი ხმა, ათასი ხან ნაზი, ხან მრისხანე, ხან შიშნარევი და ან მუდარით სავსე კილო; მისი მდიდარი მიმიკა, სახის ნაკვთთა ამეტყველება ძვირფასი იქ, საცა თვალი, ეს მადლი ღვთისა,—გაუქმებულია,—სავსებით სძლევდა ამ სიძნელეს და მაყურებელი ვერა გრძნობდა თითონ როლის ერთფეროვნობას, ავტორისაგან შექმნილს. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ქ-ნ ქიქოძეს, იმის შემდეგაც იგი ქართულ თეატრს მოევლინა ჩინებულად აღსრულებულ იოკატას როლში,—ფრიად ნიჭიერი ნაბიჯი გადაუდგამს, თითქო ცხოვრების სიღრმე განუცდია და ამეტყველობსო მას და, იმედია, მომავალში ერთი უნიჭიერესი მსახიობი იქნება.

მაგრამ როცა გადადიხარ სხვა მსახიობთა წყებაზედ—გული გეთანაღრება, რომ მათ გამბედაობის მეტი ჯერ არა აქვთ რა. გამბედაობას ცხოვრებაშიაც ისე, როგორც ხელოვნებაში ამართლებს მხოლოდ გამარჯვება და სასაცილოდ ხდის მიზნის ჩაფუშვა.

ვერავინ ვერ მიხვდა თუ რას წარმოადგენდა ან რას ნიშნავდა, მაგალითად, ნაქებ ქ-ნ ანჯაფარიძეს გაშტერებული თვალები, გაფშეკილი ხელფეხი, მოუხრელი ხმა? ყმაწვილი მკვირცხლი გოგონა, უმაღლეს რელიგიურ პათოსისა, საცა იგი მართლაც კარგი იყო თუ სანეფოს დანახვის დროს, თავის ქალბატონთან ლაპარაკში თუ ნილოსის ტალღებში იდუმალად გამყურე,—ერთნაირი იყო ჟესტებით, მიმიკით მოძრაობით; თითქო ხელფეხი მოქნილი კა არა შარნირებზე ჰქონდეს გაკეთებული, თვალები შემდგარი ერთ წერტილზედ მაშინაც როცა ღმერთსა ხედავს, მაშინაც როცა ეალერსება სათნის და მაშინაც, როცა ამშვიდებს მიერისს; მისი სახის ნაკვთები თითქო იმ ტლანქი და ვაზელინიანი გრიმით იყო შეკრული. რომელიც სპობს ცოცხალ მიმიკას იქ, საცა გრიმის გაკეთება სულ არ იციან. ეს ნაკლი კიდევ უფრო გაძლიერებული იყო მეორე წარმოდგენის დროს, როცა ბუნებრივი სახე იაუმასი უშნოდ შეეთხუპნათ წითელის ნაყიშნაყიშა ფერადებით.

შინაგან სიძლიერეზედ ქ-ნ ანჯაფარიძისა, ვერაფერს ვიტყვით, რადგან ძნელია რისამე თქმა მსახიობის იმ მხარეზედ, რომელსაც იგი არ ამჟღავნებს.

სათნის ძნელ როლზე მხოლოდ ერთი ითქმის: სათნი-ჭიაურელი გაცილებით მდარე იყო სათნი გელოვანზედ, თუმცა არც ერთი არ იყო ამ როლში გამოსაშვები. ბ-ნ ჭიაურელს ფეხებ-მოგრეხილი ყმის როლი პირველ წარმოდგენისა ისე შეერგო, რომ მეორე წარმოდგენაზედ გმირ სათნის როლში, რომლის სწორ ფეხებს შენატრიან,—იგრიხებოდა სწორედ ისევე იმ ადგილებში, საცა მის მგრგვინავ ხმას სხვებიც უნდა გაესწორებინათ. ხმა რომ არა ჰყოფნიდა, იგი მუხლებზედ ხელს იტაცებდა, იპრანჭებოდა ავადმყოფივით და სიბრალუ-

## დემობილიზირებულ ოფიცერთა საკითხი.

## სამხრეთის ოსეთი.
(კომისრის მოხსენება)

## საქართველოსა და აფხაზეთის ხელშეკრულობა.

## კორესპონდენცია

## ისანიური ავადმყოფობა სოფლად

ახალ-სენაკი. „გაჭირვებულს ქვა აღმართში შეუშინდაო" ნათქვამია, და სწორედ ეს ითქმის ჩვენი ქვეყნისთვის.

ხ. შამათავა.

## ჩვენს კორესპონდენტებს

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი

## „კლდის" ბიბლიოთეკა:

დაიბეჭდება ნაწერები:

გრიგოლ ვეშაპელის

„ნაციონალ-დემოკრატიული პარტია"

დავით ვაჩნაძის

„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია"

მიხეილ მაჩაბელის

„მ ი წ ი ს ს ა კ ი თ ხ ი"

თითო წიგნის ფასი 15 შაური.

წიგნის საწყობი: „კ ლ დ ი ს" კანტორაში.

## ქართული ლატარიის პირობები.

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი ხუთ მილიონ მან. ღირებულობის, ოთხს სერიად.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ...

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | მოგება | 100.000 მან. | 100.000 მან. |
| 1. | „ | 50.000 „ | 50.000 „ |
| 1. | „ | 25.000 „ | 25.000 „ |
| 2. | „ | 10.000 „ | 20.000 „ |
| 3. | „ | 5.000 „ | 15.000 „ |
| 5. | „ | 1.000 „ | 5.000 „ |
| 50. | „ | 500 „ | 25.000 „ |
| 180. | „ | 250 „ | 45.000 „ |
| 2150. | „ | 100 „ | 215.000 „ |

სულ 2393 მოგებაზე ბილეთი 500.000 მან.

## საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო

ამით იცხადება, რომ ...

## გიორგი მამაძე.

## საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება.

I.

„ქართლის ბედის" უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი.

## ექიმი
## დ. ჯავახიშვილი

ფილ. № 14—09.